

სკოლა - ლაბი

**ESCUELA NUEVA**

კოლუმბიის „ახალი

სკოლის“ მოდელი

2019

სტატია მომზადებულია კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის „სკოლა-ლაბის“ პროგრამის ფარგლებში. პროგრამის მიზანია, სკოლის ორგანიზაციული განვითარებისა და ცვლილებების შესახებ ცოდნის კონსოლოდაცია , ახალი ცოდნის გენერირება და შერჩეული მიდგომების პილოტირება.

ავტორი: სოფი სხირტლაძე

რედაქტორი: გიორგი ჭანტურია

## სარჩევი

აბსტრაქტი .....	4
ABSTRACT.....	4
მოდელის ისტორია.....	5
მოდელის კონცეფცია.....	7
თეორიული ჩარჩო .....	10
მოდელის იმპლემენტაცია .....	10
მასწავლებელთა ტრენინგი.....	11
მასწავლებელთა მხარდაჭერა.....	12
შეფასებისა და მონიტორინგის სტრატეგია .....	14
მოდელის ძირითადი მიღწევები.....	15
გამოყენებული ლიტერატურა.....	17

## აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში წარმოდგენილია სამაგიდო კვლევის ანგარიში კოლუმბიის სასკოლო მოდელის „ახალი სკოლის“ (Escuela Nueva (EN)) რეფორმის შესახებ. EN-ის მოდელი შეიქმნა 1975 წელს კოლუმბიის სოფლის სკოლებში არსებული პრობლემების საპასუხოდ და ის დღემდე წარმატებით ფუნქციონირებს მრავალ სკოლაში. მის მიზანს წარმოადგენს განათლების ხარისხის, რელევანტურობისა და ეფექტურობის გაუმჯობესება აქტიური, თანამშრომლობითი და პერსონალიზებული სწავლების საშუალებით, რომელიც ყოველთვის ორიენტირებულია მოსწავლეზე. ახალი სკოლის მოდელი მთლიანად ეფუძნება კონსტრუქტივისტულ მიდგომას და სკოლის ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით, მოიაზრებს მშობლების, ადგილობრივი თემისა და ადმინისტრაციული აგენტების აქტიურ ჩართულობას. სხვადასხვა კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ ახალი სკოლის მოდელმა მიაღწია განათლების ხარისხის გაუმჯობესებას კოლუმბიის სოფლის სკოლებში. EN-ის სკოლაში ჩართულმა მოსწავლეებმა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს საგნობრივი ცოდნა სხვა სკოლის მოსწავლეებთან შედარებით. ამასთან, პროგრამამ შეძლო და მოსწავლეებში განავითარა სამოქალაქო, დემოკრატიული, თანამშრომლობითი და მშვიდობიანი თანაცხოვრების პრინციპები. გარდა ამისა, ახალი სკოლის მოდელი კოლუმბიის გარდა დაინერგა და წარმატებით ფუნქციონირებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

## ABSTRACT

The following paper presents a desktop research report about the reform of Colombian school model Escuela Nueva (EN). The EN model was developed in 1975 in response to the problems faced by rural schools in Colombia and nowadays continues to operate successfully in many Colombian schools. The main goal of the model is to improve quality, relevance and efficiency of education by promoting active, cooperative and personalized learning centered on the learner. The new school model is based on a constructivist approach with the aim of improving school life through active engagement of parents, the local community and administrative agents. According to various studies the EN model achieved improved quality of education in rural schools of Colombia. Students enrolled in the EN school significantly improved subject knowledge compared to conventional school students. In addition, the program develop principles of civic, democratic, collaborative and peaceful co-existence among students. Besides, EN model has been successfully implemented in various countries around the world.

## მოდელის ისტორია

1960-იან წლებში კოლუმბიის სოფლის სკოლებში დაინერგა იუნესკოს მიერ შემუშავებული უნიტარული სკოლის მეთოდი (Unitary School Method). ამ პერიოდში კოლუმბიის სკოლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა მრავალკლასიანი გაკვეთილები (multigrade classrooms)<sup>1</sup>, რაც გულისხმობდა იმას, რომ დაწყებით საფეხურზე ერთ მასწავლებელს უწევდა სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებთან ერთდროულად მუშაობა. შესაბამისად, უნიტარული სკოლის მეთოდი აქცენტს აკეთებდა მრავალკლასიანი გაკვეთილების ეფექტურად მართვაზე. უნიტარული სკოლის მოდელის პროგრამა განხორციელდა კოლუმბიის 150 სკოლაში, თუმცა, მან ვერ უპასუხა კოლუმბიის სოფლის სკოლებში იმ დროისათვის არსებულ გამოწვევებსა და იქ მცხოვრები ბავშვების საჭიროებებს.

უნიტარული სკოლების მეთოდზე დაყრდნობით 1975 წელს, კოლუმბიაში განათლების სისტემაში უთანასწორობის აღმოფხვრისა და სოფლის სკოლებში განათლების ხარისხის განვითარების მიზნით, ვიკი კოლბერტმა (Vicky Colbert)<sup>2</sup> შეიმუშავა „ახალი სკოლის“ (Escuela Nueva (EN)) მოდელის კონცეფცია. კოლბერტი იყო განათლების სპეციალისტი, რომელიც იმ პერიოდში სოფლის სკოლებში დაწყებითი კლასის მასწავლებლებთან მუშაობდა. მან, საწყის ეტაპზე მიიღო როგორც პოლიტიკური, ასევე ფინანსური მხარდაჭერა განათლების სამინისტროსა და USAID-ისაგან. მოდელის დანერგვის საპილოტე ვერსია განხორციელდა კოლუმბიის სხვადასხვა სოფლის 500 სკოლაში.

საპილოტე ვერსიის წარმატებით განხორციელების შემდეგ, კოლბერტი დაინიშნა EN-ის პროგრამის მთავარი კოორდინატორად. 1976 წლისთვის კოლბერტმა თანამოაზრეებთან და სხვადასხვა მხარდამჭერთან ერთად მოდელის 3000 სკოლაში დანერგა.

1981 წელს ვიკი კოლბერტი გახდა კოლუმბიის განათლების მინისტრის მოადგილე. ამავე პერიოდში, 1982-1986 წლებში, მისი მხარდაჭერით, მოდელის განხორციელება დაიწყო წყნარი ოკეანის სანაპიროს სკოლებშიც. გარდა ამისა, სასწავლო მასალები სრულად ადაპტირდა რეგიონისთვის. 1985 წელს კოლუმბიის მთავრობამ ახალი სკოლის მოდელი მიიღო სოფლის სკოლების დაწყებითი საფეხურის მთავარ სტრატეგიად, რამაც მონაწილე სკოლების რიცხვი 8000-მდე გაზარდა. პროექტი მსოფლიო ბანკის კრედიტის დახმარებით განხორციელდა. მისივე მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა საგანმანათლებლო მასალების განახლება, სკოლების შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფა და მასწავლებელთა ტრენინგების ჩატარება.

1989 წლამდე ფენის მოდელი უკვე განხორციელებული იყო 17,984 სკოლაში, ხოლო 1991 წლისთვის - 20,000 სოფლის სკოლაში. ჯამში, პროგრამაში ჩართული იყო ერთი მილიონი ბავშვი.

<sup>1</sup> [https://www.ea.gr/ep/muse/data/meth\\_introduction.htm](https://www.ea.gr/ep/muse/data/meth_introduction.htm)

<sup>2</sup> <http://encuentromundialdevalores.org/eng/vicky-colbert/>

1990-იანი წლებიდან კოლუმბიაში დაიწყო განათლების სისტემის დეცენტრალიზაციის პროცესი. სასკოლო განათლება ადგილობრივი თვითმმართველობებმა გადაიბარა. მუნიციპალიტეტებს მიენიჭათ ავტონომია სასკოლო მოდელის არჩევის პროცესში. შესაბამისად, ამ პერიოდში, მოდელის დანერგვა ზოგიერთ რეგიონში შესუსტდა, ზოგში კი გაძლიერდა.

EN-ის მოდელის სხვა სკოლებში დანერგვის ხელშეწყობისა და გაძლიერების მიზნით, კოლმბერტმა 1987 წელს დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაცია FEN (Fundacion Escuela Nueva)<sup>3</sup>. მან ორგანიზაციის დაარსებიდან მალევე შეიმუშავა ახალი სკოლის მოდელის კონცეფცია ქალაქის სკოლებისათვის. 2001 წელს კი შექმნა სასწავლო პროგრამა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებისათვის. ორგანიზაცია დღემდე განაგრძობს განვითარებას და თანამშრომლობას, როგორც კოლუმბიის, ასევე სხვა ქვეყნების სკოლებთან. დღეისათვის ახალი სკოლის მოდელი დანერგილია 20 ქვეყანაში.

---

<sup>3</sup> FEN-ის ვებ გვერდის მისამართი: <http://escuelanueva.org/portal1/es/>

## მოდელის კონცეფცია

1960-70-იან წლებში კოლუმბიაში მთავარი პრობლემა სოფლისა და ქალაქის სკოლებში არსებული უთანასწორობა იყო. სოფელში ცხოვრება უკავშირდებოდა დაბალ შემოსავლებს, დასაქმების ნაკლებ შესაძლებლობებს და დაბალი ხარისხის განათლების მიღებას. ინტერ-ამერიკული განვითარების ბანკის (IDB) (1998) მიხედვით, „საგანმანათლებლო ხარისხი გაცილებით დაბალი იყო ნაკლები შემოსავლის მქონე მოსწავლეებისთვის, რომელთა უმრავლესობაც საჯარო სკოლებში სწავლობდა“.

სოფლად მცხოვრები ბავშვების მხოლოდ 20% ახერხებდა ზოგადი განათლების ხუთივე საფეხურის დასრულებას, ხოლო მოსწავლეთა 35% კი პირველივე წელს ირიცხებოდა. გარდა ამისა, კოლუმბიელი ბავშვების 24% არ დადიოდა სკოლაში. სასწავლო კურიკულუმი უფრო მეტად მორგებული იყო ქალაქში მცხოვრებ მოსწავლეებზე და შინაარსობრივად ნაკლებად უკავშირდებოდა სოფელში მცხოვრებ მოსწავლეთა ყოველდღიურობას და გამოწვევებს. ამასთან, მასწავლებლები იყენებდნენ სწავლების ტრადიციულ, მოძველებულ მეთოდებს, რაც აფერხებდა სააზროვნო უნარების განვითარებას. სოფლის სკოლებში არ იყო ხელმისაწვდომი შესაბამისი სახელმძღვანელოები და ინტერაქტიური, მონაწილეობითი სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიური მასალები. სკოლის ცხოვრებაში მოსწავლეთა მშობლები და ადგილობრივი თემი ნაკლებად მონაწილეობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დროისათვის არ არსებობდა მასწავლებელთა ეფექტური გადამზადების სისტემა, საკმაოდ მაღალი იყო მასწავლებელთა მიგრაცია სოფლიდან ქალაქში, ხოლო კვალიფიციური პედაგოგების მიზიდვა იზოლირებულ გეოგრაფიულ არეალებში რთულად ხერხდებოდა. ამასთან, სოფლის სკოლებში მასწავლებელთა სიმცირის გამო, დაწყებით საფეხურზე ერთ მასწავლებელს უწევდა რამდენიმე კლასთან ერთდროულად მუშაობა, რაც გაკვეთილის ჩატარების პროცესს ართულებდა.

ამ პრობლემების გადასაჭრელად შეიქმნა ახალი სკოლის მოდელი, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საბაზისო დაწყებითი საფეხურის განათლების გაუმჯობესება იმ იზოლირებულ სოფლის სკოლებში, სადაც მრავალკლასიანი სისტემა მოქმედებდა.

EN-ის კონცეფციის სისტემურ დიზაინს გააჩნდა შემდეგი საბაზისო დაშვება: იმისათვის, რომ მოდელს მიეღწია ცვლილებებისათვის და მიეღო მნიშვნელოვანი შედეგები მოსწავლეთა დონეზე, საჭირო იყო მასწავლებელთა ტრენინგის სტრატეგიაში ინოვაციური მეთოდების დანერგვა. ასევე, უნდა გაუმჯობესებულიყო ადმინისტრირების სტრატეგია და კოორდინაცია სკოლასა და თემს შორის.

ახალი სკოლის კონცეფციის მიხედვით, მასწავლებელზე ორიენტირებულ მოდელს ანაცვლებს მოსწავლეზე მიმართული სისტემა. ხოლო სწავლების პროცესი ცოდნის გადაცემის ნაცვლად ეფუძნება ცოდნის კონსტრუირების იდეას. ახალი სკოლის მიდგომა მიზნად ისახავს მოსწავლეების აქტიურ ჩართვას საკუთარი ცოდნის აგების პროცესში, იგულისხმება, რომ სოციალური ინტერაქცია ეხმარება მოსწავლეებს შეიძინონ საჭირო ცოდნა.

შესაბამისად, ახალი სკოლის მოდელმა მთლიანად შეცვალა მასწავლებლის როლი. EN-ის კონცეფციის მიხედვით, პედაგოგი ცოდნის უბრალო გადამცემიდან გახდა ფასილიტატორი - ადამიანი, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება აღმოჩენებითა და ძიებით მიაღწიონ სასწავლო მიზნებს. გარდა ამისა, ახალი სკოლის მოდელის კონცეფცია სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით, ითვალისწინებს მშობლებისა და ადგილობრივი თემის ჩართვას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში სხვადასხვა აქტივობის საშუალებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ მოსწავლეთა სასწავლო მასალები მთლიანად მოერგო მათ ყოველდღიურობას და მისი შინაარსი დაუკავშირდა სოფლის ცხოვრებას. აღნიშნული ცვლილების მეშვეობით, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სკოლაში მიღებული ცოდნა და პრაქტიკა დაუკავშირონ ერთმანეთს. გარდა ამისა, ახალი სკოლის მოდელი მიზნად ისახავს მოსწავლეების არა მხოლოდ საჭირო ინფორმაციით აღჭურვასა და საგნობრივ განათლებას, არამედ დემოკრატიული, თანამშრომლობითი და მშვიდობიანი თანაცხოვრების ღირებულებების განვითარებას. სწორედ ამიტომ, EN-ის მოდელში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჯგუფურ სამუშაოებს, რომელიც მოსწავლეებს შორის აყალიბებს თანამშრომლობით ურთიერთობებსა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, ხოლო სკოლაში მოსწავლეთა სხვადასხვა ორგანიზაციის ჩამოყალიბების გზით, ის ავითარებს სოციალურ და დემოკრატიულ ქცევას. (იხ. ცხრილი 1)

კერძოდ კი, ახალი სკოლის მოდელს *აქტორების* მიხედვით გააჩნია შემდეგი მიზნები:

**მოსწავლეებისათვის** ახალი სკოლის მოდელი ავითარებს

- აქტიურ და რეფლექტიურ სწავლას;
- ანალიტიკურ და პრაქტიკაში გამოყენებისათვის საჭირო უნარებს;
- ძლიერი თვითშეფასების მექანიზმს;
- პოზიტიურ დამოკიდებულებას თანამშრომლობისა და სოლიდარობისადმი;
- პოზიტიურ დამოკიდებულებას სამოქალაქო და დემოკრატიული ღირებულებებისადმი.

**მასწავლებლებისათვის** ახალი სკოლის მოდელი მიზნად ისახავს:

- ინსტრუქციების მიმცემი მასწავლებლები იქცნენ ფასილიტატორებად;
- ჩამოყალიბდეთ პოზიტიური დამოკიდებულება ახალი სასწავლო მეთოდების, სოფლის გარემოში მუშაობისა და ადმინისტრაციული აგენტების მიმართ;
- გახდნენ ადგილობრივი თემის აქტიური ლიდერები;
- იყვნენ კმაყოფილები მთლიანი პროგრამით;
- ჰქონდეთ უნარი, მართონ EN-ის კომპონენტები.

**ადმინისტრაციული აგენტებისათვის** პროგრამა ხელს უწყობს:

- კონტორლიორის მაგივრად, გახდნენ მასწავლებლებისა და თემის დამხმარეები;



- პოზიტიური სამუშაო ურთიერთობის ჩამოყალიბებას ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს შორის;
- ადმინისტრაციულ აგენტებს გააჩნდეთ კმაყოფილება მთლიანი პროგრამის მიმართ;
- ორგანიზება გაუწიონ მასწავლებელთა ტრენინგს და შეეძლოთ ტრენინგის განმავლობაში არსებული საჭიროებების იდენტიფიცირება.

**ადგილობრივი თემისათვის EN-ის მოდელი ქმნის ახალი ურთიერთობების შესაძლებლობებს მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და თემთან.** ახალი სკოლის მოდელი მშობლებს, ნათესავებს და თემს სთავაზობს ფართო შესაძლებლობებს, მონაწილეობა მიიღონ სკოლის აქტივობებში და დარწმუნდნენ, რომ მათი კულტურა ასახულია სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სხვადასხვა აქტივობაში ჩართვით, მათ ეძლევათ სკოლის განვითარებაში წვლილის შეტანის შესაძლებლობა.

**ცხრილი 1** განმასხვავებელი ნიშნები ჩვეულებრივ სკოლასა და EN-ის სკოლას შორის.

კომპონენტი	ჩვეულებრივი სკოლა	EN-ის სკოლა
<b>სწავლება</b>	ცოდნის პირდაპირი გადაცემა	მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ფასილიტაცია
<b>სწავლა</b>	დამახსოვრებაზე ორიენტირებული	რეფლექსიური; შედარებითი
<b>მოსწავლის ჩართულობა</b>	პასიური	აქტიური
<b>საკლასო ოთახის მოწყობა</b>	მოსწავლეები სხედან რიგებში	შექმნილია მოსწავლეთა მცირე ჯგუფები
<b>შინაარსი</b>	მხოლოდ ინფორმაციაზე ორიენტირებული	პროცესზე ორიენტირებული; მოსწავლის ყოველდღიურ ცხოვრებასთან კავშირის აღმოჩენა
<b>წიგნები და სხვა მასალები</b>	მწირი მასალა	მრავალი სახის მასალა
<b>სასწავლო ადგილები</b>	მხოლოდ საკლასო ოთახი	საკლასო ოთახი, სკოლის გარემო, თემი
<b>სასკოლო თემი</b>	სუსტი კავშირი	ძლიერი კავშირი
<b>კალენდარი-განრიგი</b>	ხისტი	მოქნილი
<b>შეფასება</b>	მეხსიერებაზე ორიენტირებული შემაჯამებელი შეფასება	კომპეტენციაზე ორიენტირებული თვისებრივი მრავალჯერადი შეფასება

## თეორიული ჩარჩო

აღნიშნული კურიკულუმი კონსტრუქტივიზმს ეფუძნება. ცოდნა განიხილება, როგორც სოციალური კონსტრუქცია, რომელიც ყალიბდება დიალოგისა და ინტერაქციის გზით. თემთან ინტერაქცია აკავშირებს ცოდნას ადგილობრივ კონტექსტთან და შესამჩნევს ხდის სოციალური ქცევის წარმატებით შესრულებას. მთავარი როლი აქვს მოსწავლის ფიქრს/აზროვნებას., შესაბამისად, აქცენტი კეთდება მცირე ჯგუფებში მუშაობაზე, სათემო აქტივობებზე, პრობლემების გადაჭრის ინიციატივებზე, განსხვავებული პოზიციების პატივისცემაზე, დემოკრატიულ ქცევაზე.

აღნიშნული მიდგომა ხაზს უსვამს იმას, რომ სწავლა არის ცოდნის კონსტრუქციის პროცესი და ის დაკავშირებულია იმ სიტუაციასთან, რომელშიც ხდება ეს მოქმედება და აქვს დაშვება, რომ მოსწავლე არასდროსაა მართო სწავლის პროცესში - ის სოციო-კულტურული გარემოს ნაწილია. EN მოდელი მათ მიერ შემუშავებული სასწავლო სახელმძღვანელოების საშუალებით ხელს უწყობს მოსწავლეებში აზროვნების უნარის განვითარებას.

ახალი სკოლის მოდელი ხელს უწყობს მცირე ჯგუფებში თანამშრომლობას. ამგვარი სწავლის გამოცდილება აყალიბებს ისეთ დემოკრატიულ დამოკიდებულებებსა და ქცევებს, როგორებიცაა სოლიდარობა და მონაწილეობა. თანამშრომლობითი მეთოდის გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეების ჩართულობას კლასში და ეხმარება მათ ისწავლონ, თუ როგორ უნდა მიაღწიონ სასურველ შედეგს თანამშრომლობის გამოყენებით. ის ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითშეფასებასა და სამოქალაქო ქცევების განვითარებას. ფენის მოდელის მიხედვით სწავლის პროცესში უმნიშვნელოვანესია ინტერაქცია მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და სხვა მოსწავლეებს და მშობლებსა და მოსწავლეებს შორის.

## მოდელის იმპლემენტაცია

ახალი სკოლის მოდელის განხორციელების მთავარ კომპონენტს წარმოადგენს მასწავლებელთა მომზადების სტრატეგია. მნიშვნელოვანია ის, რომ EN-ის მოდელის მასწავლებელთა მომზადების სტრატეგიაა არის არა ერთჯერადი აქტივობა, არამედ დროში განგრძობითი პროცესი და მოიცავს სამ ეტაპს. პირველ ეტაპზე EN-ის ჯგუფი აფუძნებს სადემონსტრაციო სკოლებს, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს პირდაპირ დააკვირდნენ EN-ის მიერ სასწავლო პროცესისათვის შექმნილ ინოვაციებს. მეორე ეტაპზე ტარდება მასწავლებელთა ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლები ეცნობიან და სწავლობენ გაკვეთილის ჩატარების ტექნიკებსა და მასალებს, ხოლო მესამე ეტაპზე ფუძნდება მასწავლებელთა მხარდაჭერის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და მოდელის მდგრადობას.

## მასწავლებელთა ტრენინგი

მასწავლებელთა ტრენინგის მეთოდოლოგია მთლიანად ემყარება კონსტრუქტივისტულ მიდგომას, რის მიხედვითაც, მასწავლებლებს იმავე ტექნიკისა და მეთოდების გამოყენებით უტარდებათ ტრენინგები, რომლებსაც შემდგომში ისინი იყენებენ საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეებთან მუშაობისას, შესაბამისად, ტრენინგი მოიცავს ახალი სკოლის პროგრამის სწავლებას.

ტრენინგის განმავლობაში მასწავლებლებს გადაეცემათ ტრენინგის სახელმძღვანელო, რომლის დახმარებითაც, ისინი დეტალურად სწავლობენ EN-ის კურიკულუმის კომპონენტებს და მათ ადაპტირებას როგორც სასწავლო პროცესში, ასევე ადგილობრივ თემში. სასწავლო კურიკულუმი მოიცავს რამდენიმე კომპონენტს: სასწავლო სახელმძღვანელოები, საკლასო ბიბლიოთეკა, სასწავლო კუთხეები და მოსწავლეთა თვითმმართველობა. მნიშვნელოვანია ის, რომ თითოეული კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია თავების მიხედვითაა წარმოდგენილი მასწავლებელთა სახელმძღვანელოში.

ტრენინგის თავდაპირველ ეტაპზე მასწავლებლები სწავლობენ, თუ როგორ შექმნან მოსწავლეზე ორიენტირებული, მეგობრული გარემო და სკოლის განვითარების მიზნით, როგორ გაუწიონ მობილიზება ადგილობრივი თემის ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს. ისინი იღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეუწყონ ხელი ადგილობრივი თემისა და მშობლების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. მასწავლებლები, აგრეთვე, ეცნობიან ისეთ აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებსა და თემს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

გარდა ამისა, მასწავლებლები სწავლობენ სასწავლო კუთხეებისა და საკლასო ბიბლიოთეკების ორგანიზებასა და გამოყენებას. სასწავლო კუთხეებში წარმოდგენილია კონკრეტული მასალები, რომელთა საშუალებითაც მოსწავლეები ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობას, ხოლო საკლასო ბიბლიოთეკა არის ერთგვარი ინფორმაციული ცენტრი, რომელშიც წარმოდგენილია ინფორმაცია სოფლისა და ადგილობრივი საზოგადოების შესახებ და რომლით სარგებლობაც შეუძლიათ არა მხოლოდ მოსწავლეებს, არამედ ადგილობრივ თემს.

ტრენინგის განმავლობაში პედაგოგები, ასევე, იღებენ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ გაუწიონ ორგანიზება მოსწავლეთა თვითმმართველობას. აღნიშნული ორგანიზაცია შედგება სხვადასხვა ასაკის მოსწავლეთა საბჭოსაგან და სკოლის ცხოვრების გაუმჯობესებისა და ადგილობრივ თემთან დაახლოების მიზნით, მოსწავლეები ცდილობენ განახორციელონ სხვადასხვა აქტივობა. თვითმმართველობა მოსწავლეებში ავითარებს ლიდერობისა და თანამშრომლობით უნარებს. ის ხელს უწყობს სამოქალაქო და დემოკრატიული დამოკიდებულებისა თუ ქცევის ჩამოყალიბებას და ეხმარება მოსწავლეებს განივითარონ მენეჯერული უნარები. მასწავლებლებს, მშობლებსა და ადგილობრივ თემს ყოველთვის შეუძლიათ მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობის მიღება.

ტრენინგის მეორე ეტაპზე მასწავლებლები უკვე უშუალოდ ეცნობიან მოსწავლეთა სასწავლო სახელმძღვანელოებს, რომლებიც შემუშავებულია კოლუმბიის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, თუმცა მისი შინაარსი ადაპტირებულია სოფლის კონტექსტთან. უნდა ითქვას, რომ სასწავლო სახელმძღვანელოები EN-ის სკოლებში წარმოადგენს საგაკვეთილო პროცესის წარმართვის მთავარ ინსტრუმენტს. ის არის წიგნების, სავარჯიშო რვეულებისა და მასწავლებელთა სახელმძღვანელოების ერთობლიობა. სასწავლო სახელმძღვანელოები შექმნილია იმგვარად, რომ უზრუნველყოს მოსწავლეზე ორიენტირებული, აქტიური და თანამშრომლობითი სასწავლო გარემო. გარდა ამისა, სასწავლო სახელმძღვანელოებში მოცემული აქტივობები ხელს უწყობს ინტერაქციისა და დიალოგის პრინციპების ჩამოყალიბებას მოსწავლეებს შორის და ეხმარება მათ, სწავლის პროცესში მიღებული გამოცდილება დაუკავშირონ ოჯახსა და ადგილობრივ თემს. აღსანიშნავია ისიც, რომ სასწავლო სახელმძღვანელოები შექმნილია იმგვარად, რომ მასწავლებლებს შეუძლიათ მათი ტრანსფორმაცია და მორგება ადგილობრივ კონტექსტთან.

## მასწავლებელთა მხარდაჭერა

მასწავლებელთა ტრენინგის პირველივე ეტაპის შემდეგ, მასწავლებელთა მხარდაჭერისა და მოდელის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, ჩამოყალიბდა მიკროცენტრები. ის წარმოადგენს ტერიტორიულად ერთმანეთთან ახლოს მყოფი მასწავლებლების შეკრების სივრცეს. პედაგოგები თვეში ერთხელ ხვდებიან ერთმანეთს და მსჯელობენ ახალი სკოლის მოდელის განხორციელების პროცესზე. მასწავლებლებს ერთმანეთთან შეხვედრის საშუალებით, შეუძლიათ იმსჯელონ სწავლების პრაქტიკაზე, ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი ცოდნა და ერთობლივად იმუშაონ იმპლემენტაციის დროს წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაზე. შეიძლება ითქვას, რომ მიკროცენტრები სამომავლოდ უზრუნველყოფს უფრო სიღრმისეული და მნიშვნელოვანი ცოდნის წარმოების ერთგვარ პლატფორმას, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა განვითარებას.

მიკროცენტრების გარდა, მასწავლებელთა მხარდაჭერის მიზნით, ახალი სკოლის მოდელი მოიაზრებს სკოლების ადმინისტრაციული აგენტების როლის განვითარებას. ადმინისტრაციულ აგენტებში იგულისხმება სკოლის კლასტერების ხელმძღვანელები და სკოლის დირექტორები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ადმინისტრაციული აგენტები არიან მასწავლებელთა ტრენინგები, ფასილიტატორები, რომლებიც შესაბამისად, ირგებენ მასწავლებელთა დამხმარისა და მრჩევლის როლს. ადმინისტრაციული აგენტები მასწავლებლებისათვის წარმოადგენენ ტექნიკური დამხმარისა და სხვადასხვა რესურსის წყაროს. გარდა ამისა, მათი მიზანია მოტივაცია შესძინონ პედაგოგებს, იყვნენ უფრო მეტად ინოვაციურები.

გარდა ამისა, ყველა იმ ადამიანისათვის, რომელიც ჩართულია მოდელის განხორციელების პროცესში, FEN-მა შექმნა ონლაინ პლატფორმა<sup>4</sup>, სადაც პირადი

<sup>4</sup> <https://campus.escuelanueva.co/>

მიმოწერისა თუ ფორუმის საშუალებით შეუძლიათ მათ FEN-ის მრჩევლებთან კონტაქტი.

## შეფასებისა და მონიტორინგის სტრატეგია

ახალი სკოლის მოდელს პროგრამის გაუმჯობესების მონიტორინგის მიზნით შექმნილი აქვს მონიტორინგის სამუშაო ჩარჩო ოთხი ძირითადი მიმართულებით და შეფასებით საქმიანობას ახორციელებს საკლასო კლიმატის, დემოკრატიული ქცევის, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და აკადემიური თვითშეფასების მიმართულებით. სამუშაო ჩარჩოს შეფასების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს მოსწავლეთა და მასწავლებელთა კითხვარები.

მოსწავლეთა აკადემიური თვითშეფასებისათვის ორგანიზაცია იყენებს ჩილეს კათოლიკური უნივერსიტეტის მიერ შექმნილ TAE ტესტს. აკადემიური მოსწრების შესაფასებლად FEN იყენებს ოფიციალურ ნაციონალურ ან ინტერნაციონალურ ტესტებს. რაც შეეხება დემოკრატიულ ქცევას, ორგანიზაცია მას ზომავს შემდეგი ინდიკატორების მიხედვით: (იხ. ცხრილი 2)

### ცხრილი 2. დემოკრატიული ქცევის მაჩვენებელი EN-ის სკოლის მოსწავლეებში

ქცევა	მაჩვენებელი
თანასწორობის ღირებულებები	<ol style="list-style-type: none"> <li>1) მოსწავლეები ასრულებენ თავიანთ წილ მოვალეობას კონკრეტული დავალების შესრულებისას;</li> <li>2) მოსწავლე ეხმარება სხვა მოსწავლეებს აქტივობის შესრულებისას.</li> </ol>
ინტერპერსონალური ეფექტურობა	<ol style="list-style-type: none"> <li>1) მოსწავლე თავის შეხედულებებსა და დამოკიდებულებებს გამოხატავს თანატოლებთან და უფროსებთან.</li> <li>2) მოსწავლეს შეუძლია არჩევანის გაკეთება გონივრულ და ოპტიმალურ ვარიანტებს შორის.</li> </ol>
ლიდერობა/ჩართულობა	<ol style="list-style-type: none"> <li>1) მოსწავლე ჩართულია სკოლის სხვადასხვა სტრუქტურაში/გაერთიანებაში (მაგალითად, სკოლის თვითმართველობაში).</li> <li>2) მოსწავლეს შეუძლია თავის თანატოლებს მისცეს მიმართულებები სხვადასხვა აქტივობის შესრულებისას</li> </ol>

იმპლემენტაციის დაწყებამდე სამუშაო ჩარჩო გულისხმობს საწყისი კვლევის (Baseline study) განხორციელებას. პროექტის დასრულების შემდეგ ასევე ტარდება შემატამბელი შეფასება (endline study). გარდა ამისა, ორგანიზაცია იყენებს შუალედურ შეფასებებსაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ მონიტორინგის სისტემა გულისხმობს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურ შეფასებას. მათი სასწავლო პროცესის შეფასებების ანგარიში სემესტრის ბოლოს იგზავნება მშობლებთან ან მათი ოჯახის წევრებთან. ანგარიშში დეტალურადაა მოცემული მოსწავლის აკადემიური მოსწრების პროგრესი, მისი სუსტი და ძლიერი მხარეები. გარდა ამისა, შედეგების გაუმჯობესების მიზნით, მოცემულია რეკომენდაციები. სასწავლო წლის დასრულებისას კი ოჯახი იღებს ინფორმაციას მოსწავლის მიერ მიღწეული სასწავლო შედეგების შესახებ,

მასწავლებლები და ადმინისტრატორები აყალიბებენ მოსწავლეთა პროგრესის კრიტერიუმებს, რომლის დახმარებითაც აფასებენ შეუძლია თუ არა მოსწავლეს შემდეგ კლასში გადასვლა. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ვერ გადადის მომდევნო კლასში, მას არ უწევს განვლილი პროგრამის ხელახლა გამეორება. თითოეული მოსწავლისათვის ინდივიდუალურად დგინდება სასწავლო გეგმა.

## **მოდელის ძირითადი მიღწევები**

ახალი სკოლის მოდელს აქვს მნიშვნელოვანი შედეგი მოსწავლეების სწავლისა და სოციალური უნარების გაუმჯობესებაზე. 1980 წლიდან ჩატარებული სხვადასხვა შეფასებების მიხედვით, EN-ის მოსწავლეებს გაუმჯობესებული აქვთ აკადემიური მიღწევები, თვითშეფასება, სოციალური უნარები, ასევე, სამოქალაქო და დემოკრატიული ქცევა.

კოლუმბიის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ახალი სკოლის მოსწავლეებმა გააუმჯობესეს შედეგი ესპანურსა და მათემატიკაში. ასევე, EN-ის სკოლებს უფრო კარგი აკადემიური მოსწრების შედეგი აქვთ, ვიდრე ქალაქის საშუალო სტატისტიკურ სკოლას, რომელიც ასევე მდებარეობს ქალაქის დაბალ სოციო-ეკონომიკურ არეალში.

1990-იანებში ლათინური ამერიკის და კარიბის რეგიონის მასშტაბით ჩატარებული კვლევის მიხედვით, იუნესკომ აღნიშნა, რომ კოლუმბია რეგიონში არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც სოფლის სკოლებს აქვთ უკეთესი სწავლის შედეგები ქალაქის სკოლებთან შედარებით, მეგაპოლისების გარდა. კვლევაში ასევე აღნიშნულია, რომ ახალი სკოლა მოსწავლეებს უყალიბებს სამოქალაქო ღირებულებებს, გადასცემს მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და დემოკრატიული ქცევის მნიშვნელობას. როსარიოს უნივერსიტეტისა და FEN-ის ერთობლივი კვლევის მიხედვით, EN-ის სკოლებმა აჩვენა მნიშვნელოვანი შედეგი დემოკრატიული პრინციპებისა და მოსწავლეებს შორის მშვიდობიანი სოციალური ინტერაქციის განვითარებაში სხვა სკოლებთან შედარებით. ახალი სკოლის მოსწავლეები ავლენენ პრობლემების გადაჭრისა და სირთულეთა დაძლევის კომპტენციებს, ასევე რაც ძალზედ საგულისხმოა, ისეთ

უნარებს, რომლებიც მათ დაეხმარება იყვნენ ცვლილების აგენტები თავიანთ გარემოში.

UNESCO-ს მიერ ლათინური ამერიკის რეგიონში ჩატარებული კვლევის შედეგად, დადგინდა, რომ ახალი სკოლის მოდელი ეხმარება მასწავლებლებს, ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება, ითანამშრომლონ და ერთად იმუშაონ პრობლემების მოსაგვარებლად.

USAID-სა და გოგონათა განათლების მონიტორინგის სისტემის (Girls Education Monitoring System (GEMS)) კვლევის მიხედვით, ახალი სკოლის მოდელის მეთოდოლოგიამ, გაზარდა გოგონათა მონაწილეობა. თანამშრომლობითმა სწავლებამ კი შეაფერხა სხვადასხვა სახის ცრურწმენების, სტერეოტიპებისა და გენდერული მიკერძოების გავრცელება. ახალი სკოლის მოდელი, აგრეთვე, ხელს უწყობს გოგონებს, იყვნენ უფრო მეტად აქტიურები, შეეძლოთ ინიციატივის აღება საკუთარ თავზე და გახდნენ ჯგუფის ლიდერები.

ახალი სკოლის მოდელი, მისი პრინციპებიდან გამომდინარე, გახდა ინსპირაცია მრავალი საგანმანათლებლო პროექტისათვის, როგორც ლათინურ ამერიკაში, ასევე მის მიღმა. EN-ის მოდელის განვითარებასთან ერთად, გაიზარდა მოთხოვნა სხვადასხვა ქვეყნიდან, რომ მათაც დაიწყონ ახალი სკოლის მოდელის დანერგვა და იმპლემენტაცია თავიანთ სკოლებში.

1989 წელს მსოფლიო ბანკმა EN-ის მოდელი აღიარა სამ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო რეფორმას შორის, რომელიც განვითარებად ქვეყანაში<sup>5</sup> განხორციელდა. ამასთან, 2009 წელს ვიკი კოლბერტმა მიიღო Wise Award<sup>6</sup>-ი განათლებაში შეტანილი კომპლექსური წვლილისათვის, ხოლო 2017-ში მიიღო Yidan<sup>7</sup>-ის პრემია განათლების განვითარებისათვის.

2016 წლისთვის FEN-მა მოიცვა 5 მილიონამდე ბავშვი 16 ქვეყანაში. მათ შორის, დომინიკის რესპუბლიკა, ბრაზილია, ჩილე, მექსიკა, პერუ, პანამა, ელ სალვადორი, ჰონდურასი, პარაგვაი, აღმოსავლეთ ტიმორი, ზამბია და ვიეტნამი. FEN-ი სათავეში ედგა საკუთარი მოდელის განვითარებას ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ერაყი, ინდოეთი, პერუ, ეგვიპტე, პაპუა ახალი გვინეა.

---

<sup>5</sup> <http://escuelanueva.org/portal1/en/who-we-are/escuela-nueva-activa-model/model-s-history.html>

<sup>6</sup> <https://www.euronews.com/2013/11/15/wise-prize-2013-vicky-colbert-s-silent-revolution>

<sup>7</sup> <http://www.escuelanueva.org/portal1/en/press-room/breaking-news/393-vicky-colbert-laureate-of-the-yidan-prize-for-educational-development.html>



## გამოყენებული ლიტერატურა

1. Social Entrepreneurship and Systems Change, 2017. Fundación Escuela Nueva
2. Colbert, V., Arboleda, J. 2016. Bringing a student-centered participatory pedagogy to scale in Colombia. Springer.
3. Kline, R., 2002. A Model for Improving Rural Schools: Escuela Nueva in Colombia and Guatemala. Harvard University
4. Colbert, V., Arboleda, J. 1990. Universalization of primary school in Colombia. The new school programme. Paris, UNICEF and WFP
5. Jennifer J. Pitt. 2002. CIVIC EDUCATION AND CITIZENSHIP IN ESCUELA NUEVA SCHOOLS IN COLOMBIA. University of Toronto
6. The Colombian Escuela Nueva School Modeling: Linking program implementation and learning outcomes- Katharina Hammler Ph. D. Tulane University, USA. 2017
7. escuela nueva <https://educationinnovations.org/program/escuela-nueva>
8. escuela nueva monitoring and evaluation <http://escuelanueva.org/portal1/en/faqs/formats/evaluation/322.html>
9. Indicators of Democratic Behavior in Nueva Escuela Unitaria in Guatemala – USAID, Juárez and Associates. 1994